ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.02/10/ 575

ქ. თბილისი 04.12.2017 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის ვლადიმერ ჭიღლაძის სახით და მეორე მხრივ სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 5 (ხუთი) წლამდე წლოვანების 55 ერთეული „HYUNDAI"-ს მარკის ავტომანქანისათვის (დანართი №1) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა პრეისკურანტით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი №2-ით გათვალისწინებული ნაწილებისა და მომსახურების ერთეულის ფასების შესაბამისად („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარს, ხოლო მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 97 790 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდასოთხმოცდაათი) ლარს სათადარიგო ნაწილების მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით (იმ პოზიციებზე სადაც მითითებულია აღნიშვნა „-" იგულისხმება, რომ აღნიშნულ პოზიციაზე შემსყიდველის მიერ საქონელი და/ან მომსახურება არ მოითხოვება).

2.3 კლასიფიკატორის კოდი - 50112000 მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები რომლებიც ეხება საგარანტიო ვადას, ძალაშია საგარანტიო ვადის პერიოდში.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი – სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს სერვის ცენტრი, ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

3.3 მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების ან/და საქონლის რომელიმე პოზიციის არარსებობისას (მისი შესყიდვის აუცილებლობისას) ერთეულის ფასი დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციას და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში ავტოსტრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და საგარანტიო პირობები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხის (ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები და მომსახურება) საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვეს.

4.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხის საგარანტიო ვადა აკუმულატორებზე შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად გაწეული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

4.5 მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებლის ბრალეულობით ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში, ზიანის აღმოფხვრის ხარჯებს სრულად ანაზღაურებს მიმწოდებელი.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ

შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

## 7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისა ან/და გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

*(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)*

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, მათ შორის ტექნიკური მხარდაჭერისაგან თავის არიდების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის' ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. ღირებულება

12.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.2 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.
13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 595 54 88 99, საკონტ. პირი: ალექსანდრე ხვედელიძე, ელექტრონული ფოსტა: office@hyundai.ge.

ზ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: მობილური ტელეფონის ნომერი: 577-51-47-76; საკონტ. პირი: ბ-ნ მამუკა მელიქიძე, ელექტრონული ფოსტა: m.melikidze@tbilisi.gov.ge; საკონტ. პირი: გიორგი ქვაჩახია, მობილური ტელეფონის ნომერი 577 15 15 52, ელექტრონული ფოსტა g.kvachakhia@tbilisi.gov.ge.

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია<br>მის: ქალაქი თბილისი,<br>ქ. შარტავას ქ. №7<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: TRESGE22<br>ა/ა N GE24NB0330100200165022<br>ს/კოდი: 204521794 | სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“<br>მის: ქალაქი თბილისი,<br>დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.<br>სს „თიბისი ბანკი“<br>კოდი: TBCBGE22<br>ა/ა № GE15TB1100000110467697<br>ს/ნ 204478948 |
| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის<br>მერიის ადმინისტრაციის უფროსი | სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს<br>პრეზიდენტი |
| ვ. ჭიღლაძე | დ. გიორგობიანი |

დანართი №1

ავტომანქანების ჩამონათვალი

| № | მარკა/მოდელი | სახ № | წელი |
|---|---|---|---|
| 1 | ჰიუნდაი I 20 | AD613DA | 2013 |
| 2 | ჰიუნდაი I 10 | BBU-827 | 2013 |
| 3 | ჰიუნდაი I 10 | BBU-829 | 2013 |
| 4 | ჰიუნდაი I 10 | BBU-830 | 2013 |
| 5 | ჰიუნდაი I 10 | BBU-831 | 2013 |
| 6 | ჰიუნდაი I 10 | BBU-832 | 2013 |
| 7 | ჰიუნდაი I 10 | BBU-833 | 2013 |
| 8 | ჰიუნდაი I 10 | BBU-834 | 2013 |
| 9 | ჰიუნდაი I 10 | BBU-835 | 2013 |
| 10 | ჰიუნდაი I 10 | BBU-836 | 2013 |
| 11 | ჰიუნდაი I 10 | BBU-837 | 2013 |
| 12 | ჰიუნდაი I 10 | BBU-838 | 2013 |
| 13 | ჰიუნდაი I 10 | BBU-839 | 2013 |
| 14 | ჰიუნდაი I 10 | BBU-840 | 2013 |
| 15 | ჰიუნდაი I 10 | BBU-842 | 2013 |
| 16 | ჰიუნდაი I 10 | BBU-843 | 2013 |
| 17 | ჰიუნდაი I 10 | BBU-844 | 2013 |
| 18 | ჰიუნდაი I 10 | BBU-845 | 2013 |
| 19 | ჰიუნდაი I 10 | BBU846 | 2013 |
| 20 | ჰიუნდაი I 10 | BBU-847 | 2013 |
| 21 | ჰიუნდაი I 20 | BBU-850 | 2013 |
| 22 | ჰიუნდაი I 20 | BBU-852 | 2013 |
| 23 | ჰიუნდაი I 20 | BBU-854 | 2013 |
| 24 | ჰიუნდაი I 20 | BBU-855 | 2013 |
| 25 | ჰიუნდაი I 20 | BBU-856 | 2013 |
| 26 | ჰიუნდაი I 20 | BBU-857 | 2013 |
| 27 | ჰიუნდაი I 20 | BBU-861 | 2013 |
| 28 | ჰიუნდაი I 20 | BBU-862 | 2013 |
| 29 | ჰიუნდაი I 20 | BBU-863 | 2013 |
| 30 | ჰიუნდაი I 20 | BBU-864 | 2013 |
| 31 | ჰიუნდაი I 20 | BBU-865 | 2013 |
| 32 | ჰიუნდაი I 20 | BBU-866 | 2013 |
| 33 | ჰიუნდაი I 20 | BBU-868 | 2013 |
| 34 | ჰიუნდაი I 20 | BBU-869 | 2013 |
| 35 | ჰიუნდაი I 20 | BBU-870 | 2013 |
| 36 | ჰიუნდაი I 20 | BBU-871 | 2013 |
| 37 | ჰიუნდაი I 20 | BBU-872 | 2013 |
| 38 | ჰიუნდაი I 20 | BBU-873 | 2013 |
| 39 | ჰიუნდაი სონატა | CQQ-519 | 2013 |
| 40 | ჰიუნდაი სანტა ფე | FFO-707 | 2013 |
| 41 | ჰიუნდაი ელანტრა | MX698XM | 2013 |
| 42 | ჰიუნდაი H1 | MX699XM | 2013 |
| 43 | ჰიუნდაი აქსენტი | MX701XM | 2014 |
| 44 | ჰიუნდაი H1 | MX702XM | 2013 |
| 45 | ჰიუნდაი ელანტრა | MX705XM | 2013 |
| 46 | ჰიუნდაი ელანტრა | MX706XM | 2013 |
| 47 | ჰიუნდაი ელანტრა | MX708XM | 2013 |
| 48 | ჰიუნდაი ელანტრა | MX719XM | 2013 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 49 | ჰიუნდაი ელანტრა | **MX720XM** | **2013** |
| 50 | ჰიუნდაი სანტა ფე | **RR121GG** | **2013** |
| 51 | ჰიუნდაი I 20 | **SS851CC** | **2013** |
| 52 | ჰიუნდაი I 10 | **VN921NV** | **2013** |
| 53 | ჰიუნდაი I 10 | **VV554WW** | **2013** |
| 54 | ჰიუნდაი I 20 | **VWW-757** | **2013** |
| 55 | ჰიუნდაი I 20 | **VWW-797** | **2013** |

სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების პრეისკურანტი

| ჰიუნდაი ელანტრა 1.8 (ავტომატური გადაცემათა კოლოფი) | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 210 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 155 | 15 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 130 | 40 |
| 4 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 283 | 40 |
| 5 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 240 | 30 |
| 6 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 93 | 30 |
| 7 | უკანა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 65 | 25 |
| 8 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 136 | 35 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 144 | 30 |
| 10 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 60 | 40 |
| 11 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 70 | 30 |
| 12 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 79 | 35 |
| 13 | წინა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 15 | 40 |
| 14 | უკანა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 14 | 30 |
| 15 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 998 | 150 |
| 16 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 374 | 50 |
| 17 | საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი) | ცალი | 75 | 15 |
| 18 | საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა) | ცალი | 82 | 15 |
| 19 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 332 | 30 |
| 20 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 45 | 30 |
| 21 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 40 | 30 |
| 22 | ბურთულოვანი სახსარი (შარავოი) | ცალი | 79 | 25 |
| 23 | ტრავერსის მილისა | ცალი | 40 | 50 |
| 24 | წინა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 233 | 20 |
| 25 | უკანა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 280 | 35 |
| 26 | წინა მორგვის საკისარი | ცალი | 158 | 50 |
| 27 | წინა მორგვი | ცალი | 172 | 50 |
| 28 | უკანა მორგვი საკისარით | ცალი | 280 | 50 |
| 29 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 40 |
| 30 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 31 | ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა ) | კომპლექტი | 883 | 40 |
| 32 | ყუმბარა შიდა მხარე | ცალი | 415 | 50 |
| 33 | გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 93 | 40 |
| 34 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 88 | 50 |
| 35 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 36 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 5 | 10 |
| 37 | წინა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 79 | 15 |
| 38 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 39 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | – |
| 40 | საწვავის ფილტრი | ცალი | 90 | 50 |
| 41 | კონდეციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 70 | 10 |
| 42 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 27 | 5 |
| 43 | დინამოს ღვედი | ცალი | 111 | 50 |
| 44 | დინამოს ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 79 | 50 |
| 45 | საყვირი | ცალი | 50 | 15 |
| 46 | საქარე მინის საწმენდი | ცალი | 50 | 5 |
| 47 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 50 | 10 |
| 48 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 27 | 5 |
| 49 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 50 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 51 | ძრავის ზეთი (სინთეტიკა) | 1 ლიტრი | 25 | – |
| 52 | ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 53 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 54 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 55 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 56 | კონდიციონერის ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 57 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | კომპლექტი | – | 15 |
| 58 | ავტომატურ გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 59 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 60 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 20 |
| 61 | კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 62 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 63 | განშლა (წინა თვლები) | | – | 40 |
| 64 | ნახარის გასწორება (უკანა თვლები) | | – | 140 |
| 65 | სამუხრუჭე სითხის დამატება | | – | უფასო |
| 66 | ანტიფრიზის დამატება | | – | უფასო |
| ჰიუნდაი ელანტრა 1.6 (ავტომატური გადაცემათა კოლოფი) | | | | |

| N | სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 210 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 155 | 15 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 130 | 40 |
| 4 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 283 | 40 |
| 5 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 240 | 30 |
| 6 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 93 | 30 |
| 7 | უკანა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 65 | 25 |
| 8 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 136 | 35 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 144 | 30 |
| 10 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 60 | 40 |
| 11 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 70 | 30 |
| 12 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 79 | 35 |
| 13 | წინა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 15 | 40 |
| 14 | უკანა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 14 | 30 |
| 15 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 998 | 150 |
| 16 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 374 | 50 |
| 17 | საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი) | ცალი | 75 | 15 |
| 18 | საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა) | ცალი | 82 | 15 |
| 19 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 332 | 30 |
| 20 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 45 | 30 |
| 21 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 40 | 30 |
| 22 | ბურთულოვანი სახსარი (შარავოი) | ცალი | 79 | 25 |
| 23 | ტრავერსის მილისა | ცალი | 40 | 50 |
| 24 | წინა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 233 | 20 |
| 25 | უკანა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 280 | 35 |
| 26 | წინა მორგვის საკისარი | ცალი | 158 | 50 |
| 27 | წინა მორგვი | ცალი | 172 | 50 |
| 28 | უკანა მორგვი საკისარით | ცალი | 398 | 50 |
| 29 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 40 |
| 30 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 31 | ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა ) | კომპლექტი | 883 | 40 |
| 32 | ყუმბარა შიდა მხარე | ცალი | 415 | 50 |
| 33 | გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 93 | 40 |
| 34 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 88 | 50 |
| 35 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 15 |
| 36 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 5 | 10 |
| 37 | წინა ღერო (სტერჟინი) | ცალი | 79 | 15 |
| 38 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 39 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | – |
| 40 | საწვავის ფილტრი | ცალი | 90 | 50 |
| 41 | კონდიციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 70 | 10 |
| 42 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 21 | 5 |
| 43 | დინამოს ღვედი | ცალი | 90 | 50 |
| 44 | დინამოს ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 70 | 50 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 45 | საყვირი | ცალი | 50 | 15 |
| 46 | საქარე მინის საწმენდი | ცალი | 50 | 5 |
| 47 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 50 | 10 |
| 48 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 27 | 5 |
| 49 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 50 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 51 | აკუმლატორი | ცალი | 195 | 10 |
| 52 | ძრავის ზეთი (სინთეტიკა) | 1 ლიტრი | 25 | – |
| 53 | ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 54 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 55 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 56 | დროსელის საწმენდი სითხე | ცალი | 30 | – |
| 57 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 58 | კონდიციონერის ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 59 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |
| 60 | ავტომატურ გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 61 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 62 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 20 |
| 63 | კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 64 | დროსელის გაწმენდა | | – | 30 |
| 65 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 66 | განშლა (წინა თვლები) | | – | 40 |
| 67 | ნახარის გასწორება (უკანა თვლები) | | – | 140 |
| 68 | სამუხრუჭე სითხის დამატება | | – | უფასო |
| 69 | ანტიფრიზის დამატება | | – | უფასო |

ჰიუნდაი აქცენტი 1.4 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი)

| N | სათადარიგო ნაწილი / საცხებ-საპოხი მასალა მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 185 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 160 | 15 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომლექტი | 140 | 50 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ტროსი | ცალი | 115 | 40 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 230 | 40 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 217 | 30 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 75 | 30 |
| 8 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 48 | 30 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 62 | 30 |
| 10 | ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 16 | 30 |
| 11 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 50 | 25 |
| 12 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 875 | 150 |
| 13 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 335 | 50 |
| 14 | ნაკანეჩნიკი | ცალი | 70 | 15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15 | უდარნი ტიაგა | ცალი | 75 | 20 |
| 16 | გიტარა წინა | ცალი | 291 | 30 |
| 17 | წინა გიტარის მილისა | ცალი | 42 | 30 |
| 18 | ნახარის მილისა | ცალი | 37 | 30 |
| 19 | შარავოი | ცალი | 55 | 25 |
| 20 | წინა საყრდენი დისკო | ცალი | 215 | 20 |
| 21 | უკანა საყრდენი დისკო | ცალი | 270 | 45 |
| 22 | წინა მორგვის საკისარი | ცალი | 118 | 40 |
| 23 | წინა მორგვი | ცალი | 134 | 40 |
| 24 | უკანა მორგვი | ცალი | 355 | 40 |
| 25 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 40 |
| 26 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 27 | ყუმბარა გარეთა | ცალი | 400 | 40 |
| 28 | ყუმბარა შიდა | ცალი | 385 | 50 |
| 29 | გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 88 | 40 |
| 30 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 78 | 50 |
| 31 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი (პოდკორობოჩნი) | ცალი | 225 | 30 |
| 32 | ძრავის ქვედა სამაგრი (პოდმოტოტრნი) | ცალი | 251 | 40 |
| 33 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 20 |
| 34 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 5 | 5. |
| 35 | სტერჯინი წინა | ცალი | 70 | 15 |
| 36 | უკანა ბალკის ვტულკა | ცალი | 40 | 30 |
| 37 | გადაბმულობის ქურო | ცალი | 180 | 230 |
| 38 | გადაბმულობის დისკო | ცალი | 202 | 230 |
| 39 | გადაბმულობის საკისარი | ცალი | 85 | 230 |
| 40 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 41 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | – |
| 42 | საწვავის ფილტრი | ცალი | 70 | 50 |
| 43 | კონდეციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 60 | 10 |
| 44 | საწვავის ტუმბო | ცალი | 355 | 50 |
| 45 | წყლის ტუმბო | ცალი | 243 | 120 |
| 46 | თერმოსტატი | ცალი | 35 | 30 |
| 47 | გენერატორი | ცალი | 904 | 70 |
| 48 | გენერატორის დიოდი | ცალი | 121 | 80 |
| 49 | დამმუხტველი რელე | ცალი | 164 | 80 |
| 50 | ამძრავი (სტარტერი) | ცალი | 502 | 60 |
| 51 | ამძრავის ჩოთქი | ცალი | 89 | 70 |
| 52 | ამძრავის ღუზა (იაკორი) | ცალი | 195 | 70 |
| 53 | ამძრავის კბილანა (ბენდექსი) | ცალი | 112 | 70 |
| 54 | ამძრავის ავტომატი | ცალი | 143 | 70 |
| 55 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 20 | 5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 56 | ელექტრო კოჭა (ბაბინა) | ცალი | 140 | 20 |
| 57 | ძრავის ჯაჭვი | ცალი | 158 | 250 |
| 58 | ძრავის ჯაჭვის დამჭიმი | ცალი | 165 | 250 |
| 59 | ძრავის ჯაჭვის მიმმართველი | ცალი | 50 | 250 |
| 60 | ძრავის ჯაჭვის დამამშვიდებელი | ცალი | 40 | 250 |
| 61 | საჭის ელექტრო კონტაქტი (შლეიფი) | ცალი | 195 | 30 |
| 62 | დინამოს ღვედი | ცალი | 73 | 50 |
| 63 | დინამოს ღვედის ამყოლი გორგოლაჭი | ცალი | 70 | 50 |
| 64 | საყვირი | ცალი | 55 | 15 |
| 65 | საქარე მინის საწმენდები | ცალი | 45 | 5 |
| 66 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 27 | 10 |
| 67 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 25 | 5 |
| 68 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 69 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 70 | აკუმლატორი | ცალი | 190 | 10 |
| 71 | ძრავის ზეთი (სინთეტიკა) | 1 ლიტრი | 25 | – |
| 72 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 20 | – |
| 73 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 74 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 75 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 76 | კონდიციონერის ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 77 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |
| 78 | გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა | | – | 20 |
| 79 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 80 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 25 |
| 81 | კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 82 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 83 | განშლა | | – | 40 |
| 84 | ნახარის გასწორება | | – | 140 |
| 85 | ძრავი ზეთის,სამუხრუჭე სითხის , ანტიფრიზის დამატება | | – | უფასო |

**ჰიუნდაი Santafe DM 2.4 (ავტომატური გადაცემათა კოლოფი)**

| N | სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 280 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 167 | 15 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომლექტი | 138 | 30 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ტროსი | ცალი | 169 | 40 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 288 | 40 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 260 | 30 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 97 | 30 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 185 | 40 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 161 | 30 |
| 10 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 55 | 40 |
| 11 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 74 | 30 |
| 12 | ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 20 | 40 |
| 13 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 50 | 35 |
| 14 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 446 | 50 |
| 15 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 1869 | 150 |
| 16 | საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი) | ცალი | 79 | 15 |
| 17 | საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა) | ცალი | 79 | 20 |
| 18 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 460 | 30 |
| 19 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 46 | 20 |
| 20 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 41 | 20 |
| 21 | ბურთულოვანი სახსარი (შარავოი) | ცალი | 93 | 20 |
| 22 | უკანა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 441 | 40 |
| 23 | უკანა შტანგა | ცალი | 204 | 30 |
| 24 | უკანა შტანგის მილისა | ცალი | 45 | 35 |
| 25 | წინა საყრდენი დისკო | ცალი | 302 | 25 |
| 26 | უკანა საყრდენი დისკო | ცალი | 315 | 40 |
| 27 | წინა მორგვი | ცალი | 418 | 40 |
| 28 | უკანა მორგვი | ცალი | 418 | 40 |
| 29 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 50 |
| 30 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 31 | ყუმბარა მარცხენა მხარე | კომპლექტი | 1241 | 40 |
| 32 | ყუმბარა მარჯვენა მხარე | კომპლექტი | 1241 | 40 |
| 33 | ყუმბარა შიდა | ცალი | 587 | 40 |
| 34 | ყუმბარის გადამყვანი ღერძი | ცალი | 544 | 40 |
| 35 | გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 116 | 40 |
| 36 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 106 | 40 |
| 37 | წინა წერო (ცაპკა) | ცალი | 506 | 40 |
| 38 | უკანა წერო (ცაპკა) | ცალი | 583 | 50 |
| 39 | დაკიდების საკისარი (პოდვესნოი) | ცალი | 297 | 75 |
| 40 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი (პოდკორობოჩნი) | ცალი | 302 | 50 |
| 41 | ძრავის ქვედა სამაგრი (პოდმოტოტრნი) | ცალი | 353 | 30 |
| 42 | მუხრუჭის მთავარი ცილინდრი | ცალი | 604 | 40 |
| 43 | მუხრუჭის შლანგი | ცალი | 69 | 10 |
| 44 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 20 |
| 45 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა | ცალი | 12 | 10 |
| 46 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 6 | 6 |
| 47 | წინა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 79 | 15 |
| 48 | უკანა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 79 | 15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 49 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 50 | ზეთის ფილტრი | ცალი | 30 | – |
| 51 | საწვავის ფილტრი | ცალი | 93 | 50 |
| 52 | ავტომატურ გადაცემათა კოლოფის ფილტრი | ცალი | 95 | – |
| 53 | კონდეციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 75 | 10 |
| 54 | საწვავის ტუმბო | ცალი | 485 | 60 |
| 55 | წყლის ტუმბო | ცალი | 437 | 140 |
| 56 | თერმოსტატი | ცალი | 40 | 35 |
| 57 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 37 | 10 |
| 58 | დინამოს ღვედი | ცალი | 130 | 70 |
| 59 | დინამოს ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 116 | 70 |
| 60 | დინამოს ღვედის დამჭიმი | ცალი | 353 | 70 |
| 61 | საყვირი | ცალი | 60 | 15 |
| 62 | საქარე მინის საწმენდები | კომლექტი | 158 | 10 |
| 63 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 50 | 15 |
| 64 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 25 | 10 |
| 65 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 66 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 67 | ძრავის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 68 | ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 69 | ხიდის ზეთი | 1 ლიტრი | 20 | – |
| 70 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 71 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 72 | ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 73 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 74 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |
| 75 | გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 76 | ხიდებში ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 77 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 35 |
| 78 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 55 |
| 79 | ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 80 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 20 |
| 81 | განშლა | | – | 50 |

**ჰიუნდაი I20 1.4 2013 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი)**

| N | სათადარიგო ნაწილი / საცხებ-საპოხი მასალა მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 167 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 138 | 30 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომლექტი | 102 | 50 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 110 | 40 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 208 | 40 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 215 | 30 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 70 | 30 |
| 8 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 45 | 30 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 65 | 30 |
| 10 | ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 18 | 30 |
| 11 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 55 | 25 |
| 12 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 652 | 150 |
| 13 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 255 | 50 |
| 14 | დაბოლოება (ნაკანეჩნიკი) | ცალი | 55 | 15 |
| 15 | უდარნი ტიაგა | ცალი | 85 | 20 |
| 16 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 292 | 30 |
| 17 | წინა დაკიდების ბერკეტის მილისა | ცალი | 40 | 30 |
| 18 | ნახარის მილისა | ცალი | 37 | 30 |
| 19 | ბურთულოვანი სახსარი (შარავოი) | ცალი | 57 | 25 |
| 20 | წინა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 225 | 20 |
| 21 | უკანა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 260 | 45 |
| 22 | წინა მორგვის საკისარი | ცალი | 119 | 40 |
| 23 | წინა მორგვი | ცალი | 133 | 40 |
| 24 | უკანა მორგვი | ცალი | 390 | 40 |
| 25 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 40 |
| 26 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 27 | გადაბმულობის ქურო (სცეპლენიის პლიტა) | ცალი | 183 | 230 |
| 28 | გადაბმულობის დისკო (სცეპლენიის დისკი) | ცალი | 223 | 230 |
| 29 | გადაბმულობის საკისარი | ცალი | 82 | 230 |
| 30 | ყუმბარა გარეთა | ცალი | 595 | 40 |
| 31 | ყუმბარა შიდა | ცალი | 412 | 50 |
| 32 | გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 88 | 40 |
| 33 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 80 | 50 |
| 34 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი (პოდკორობოჩნი) | ცალი | 232 | 30 |
| 35 | ძრავის ქვედა სამაგრი (პოდმოტოტრნი) | ცალი | 270 | 40 |
| 36 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 20 |
| 37 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 5 | 5 |
| 38 | წინა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 75 | 15 |
| 39 | უკანა ბალკის მილისა | ცალი | 40 | 30 |
| 40 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 41 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | — |
| 42 | საწვავის ფილტრი | ცალი | 83 | 50 |
| 43 | კონდიციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 65 | 10 |
| 44 | საწვავის ტუმბო | ცალი | 351 | 50 |
| 45 | წყლის ტუმბო | ცალი | 240 | 120 |
| 46 | თერმოსტატი | ცალი | 37 | 30 |
| 47 | გენერატორი | ცალი | 895 | 80 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 48 | გენერატორის დიოდი | ცალი | 122 | 90 |
| 49 | დამმუხტველი რელე | ცალი | 167 | 90 |
| 50 | ამძრავი (სტარტერი) | ცალი | 518 | 70 |
| 51 | ამძრავის ჩოთქი | ცალი | 80 | 80 |
| 52 | ამძრავის ღუზა (იაკორი) | ცალი | 191 | 80 |
| 53 | ამძრავის კბილანა (ბენდექსი) | ცალი | 110 | 80 |
| 54 | ამძრავის ავტომატი | ცალი | 133 | 80 |
| 55 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 18 | 5 |
| 56 | ელექტრო კოჭა (ბაბინა) | ცალი | 139 | 20 |
| 57 | დინამოს ღვედი | ცალი | 74 | 50 |
| 58 | დინამოს ღვედის ამყოლი გორგოლაჭი | ცალი | 69 | 50 |
| 59 | ძრავის ჯაჭვი | ცალი | 158 | 250 |
| 60 | ძრავის ჯაჭვის დამჭიმი | ცალი | 167 | 250 |
| 61 | ძრავის ჯაჭვის მიმმართველი | ცალი | 51 | 250 |
| 62 | ძრავის ჯაჭვის დამამშვიდებელი | ცალი | 45 | 250 |
| 63 | საჭის ელექტრო კონტაქტი (შლეიფი) | ცალი | 190 | 30 |
| 64 | საქარე მინის საწმენდები | კომლექტი | 97 | 10 |
| 65 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 27 | 10 |
| 66 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 25 | 5 |
| 67 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 68 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 69 | აკუმლატორი | ცალი | 180 | 10 |
| 70 | ძრავის ზეთი (სინთეტიკა) | 1 ლიტრი | 25 | – |
| 71 | მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 20 | – |
| 72 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 73 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 74 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 75 | კონდიციონერის ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 76 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |
| 77 | გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა | | – | 20 |
| 78 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 79 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 25 |
| 80 | კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 81 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 82 | განშლა | | – | 40 |
| 83 | ნახარის გასწორება | | – | 140 |
| 84 | წყლის ამოსასხმელი ძრავი | ცალი | 80 | 30 |
| 85 | ძრავი ზეთის,სამუხრუჭე სითხის , ანტიფრიზის დამატება | | – | უფასო |
| ჰიუნდაი I10 1.1 2013 (მექანიკა) | | | | |

| N | სათადარიგო ნაწილი / საცხებ საპოხი მასალა /მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომპლექტი | 157 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომპლექტი | 147 | 30 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომპლექტი | 130 | 30 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 79 | 30 |
| 5 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 32 | უფასო |
| 6 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | – |
| 7 | საწვავის ფილტრი | ცალი | 70 | 50 |
| 8 | კონდეციონერის ფილტრი | ცალი | 55 | 10 |
| 9 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 12 | 5 |
| 10 | საქარე მინის საწმენდი | კომპლექტი | 75 | 10 |
| 11 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 25 | 5 |
| 12 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 13 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 14 | გადაბმულობის ქურო (სცეპლენიის პლიტა) | ცალი | 175 | 220 |
| 15 | გადაბმულობის დისკო (სცეპლენიის დისკი) | ცალი | 198 | 220 |
| 16 | გადაბმულობის საკისარი | ცალი | 75 | 220 |
| 17 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 208 | 30 |
| 18 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 217 | 30 |
| 19 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 50 | 30 |
| 20 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 45 | 20 |
| 21 | წინა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში | ცალი | 55 | 20 |
| 22 | ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 13 | 30 |
| 23 | სტერჟინი წინა | ცალი | 60 | 15 |
| 24 | მშრალი ამორტიზატორის რეზინა (წინა) | ცალი | 12 | 20 |
| 25 | ნაკონეჩნიკი | ცალი | 55 | 15 |
| 26 | შარავოი | ცალი | 55 | 20 |
| 27 | უდარნი ტიაგა | ცალი | 65 | 25 |
| 28 | გიტარის ვტულკა | ცალი | 35 | 30 |
| 29 | რაზვალნი ვტულკა | ცალი | 32 | 30 |
| 30 | წინა სტუპიცა | ცალი | 125 | 40 |
| 31 | წინა სტუპიცის პოდშებნიკი | ცალი | 105 | 40 |
| 32 | უკანა სტუპიცა | ცალი | 346 | 40 |
| 33 | წინა საყრდენი დისკო | ცალი | 175 | 20 |
| 34 | უკანა საყრდენი დისკო | ცალი | 227 | 50 |
| 35 | სტუპიცის ბოლტი | ცალი | 5 | 5 |
| 36 | საბურავის გაიკა | ცალი | 5 | 40 |
| 37 | ყუმბარა გარეთა | ცალი | 347 | 40 |
| 38 | ყუმბარა შიდა | ცალი | 235 | 50 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 39 | ყუმბარის სამტვერული | ცალი | 77 | 40 |
| 40 | აკუმულატორი | ცალი | 180 | 10 |
| 41 | საყვირი | ცალი | 55 | 15 |
| 42 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | ლიტრი | 25 | – |
| 43 | მექანიკური გადაცემატა კოლოფის ზეთი | ლიტრი | 20 | – |
| 44 | სამუხრუჭე სითხე | ლიტრი | 75 | – |
| 45 | ანტიფრიზი | ლიტრი | 15 | – |
| 46 | ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 47 | ყინვაგამძლე სითხე | ლიტრი | 15 | – |
| 48 | საბურავის მოხსნა, დაყენება, დაშლა აწყობა , ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 49 | განშლა | | – | 40 |
| 50 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |
| 51 | საწვავის მაჩვენებლის მზომი | ცალი | 70 | 85 |
| 52 | ძრავის ქვედა საფარი | ცალი | 75 | 50 |
| 53 | გადაცემათა კოლოფის ტროსი | ცალი | 250 | 100 |
| 54 | მექანიკურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა | | – | 20 |
| 55 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 25 |
| 56 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 57 | ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |

ჰიუნდაი სონატა 2.0 (ავტომატური გადაცემათა კოლოფი)

| N | სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 218 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 163 | 15 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომლექტი | 148 | 30 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 130 | 40 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 288 | 40 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 274 | 30 |
| 7 | წინა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში | ცალი | 88 | 30 |
| 8 | უკანა ამორტიზატორის სამაგრი ბალიში | ცალი | 65 | 40 |
| 9 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 152 | 40 |
| 10 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 169 | 40 |
| 11 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 55 | 40 |
| 12 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი) | ცალი | 65 | 40 |
| 13 | ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 16 | 40 |
| 14 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 60 | 40 |
| 15 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 2235 | 150 |
| 16 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 135 | 50 |
| 17 | საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი) | ცალი | 75 | 15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18 | საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა) | ცალი | 75 | 15 |
| 19 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 511 | 40 |
| 20 | უკანა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 427 | 35 |
| 21 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 40 | 40 |
| 22 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 40 | 40 |
| 23 | ბურთულოვანი სახსარი (შარავოი) | ცალი | 85 | 25 |
| 24 | უკანა შტანგა | ცალი | 167 | 30 |
| 25 | უკანა შტანგის მილისა | ცალი | 55 | 35 |
| 26 | წინა საყრდენი დისკო | ცალი | 260 | 25 |
| 27 | უკანა საყრდენი დისკო | ცალი | 227 | 50 |
| 28 | წინა მორგვის საკისარი | ცალი | 167 | 40 |
| 29 | წინა მორგვი | ცალი | 176 | 50 |
| 30 | უკანა მორგვი საკისარით | ცალი | 358 | 40 |
| 31 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 40 |
| 32 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 33 | ყუმბარა მარცხენა მხარე | კომლექტი | 1152 | 50 |
| 34 | ყუმბარა მარჯვენა მხარე | კომლექტი | 1218 | 50 |
| 35 | ყუმბარა შიდა | ცალი | 585 | 50 |
| 36 | გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 120 | 40 |
| 37 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი) | ცალი | 110 | 50 |
| 38 | წინა წერო (ცაპკა) | ცალი | 520 | 40 |
| 39 | უკანა წერო (ცაპკა) | ცალი | 483 | 50 |
| 40 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი (პოდკორობოჩნი) | ცალი | 271 | 40 |
| 41 | ძრავის ქვედა სამაგრი (პოდმოტოტრნი) | ცალი | 334 | 50 |
| 42 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 20 |
| 43 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა | ცალი | 12 | 10 |
| 44 | მშრალი ამორტიზატორის სამაგრი მჭიდი | ცალი | 7 | 10 |
| 45 | წინა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 78 | 15 |
| 46 | უკანა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 78 | 15 |
| 47 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 48 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | – |
| 49 | საწვავის ფილტრი | ცალი | 80 | 50 |
| 50 | ავტომატურ გადაცემათა კოლოფის ფილტრი | ცალი | 85 | – |
| 51 | კონდიციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 75 | 10 |
| 52 | საწვავის ტუმბო | ცალი | 475 | 50 |
| 53 | წყლის ტუმბო | ცალი | 288 | 160 |
| 54 | თერმოსტატი | ცალი | 41 | 35 |
| 55 | სანთელი (სვეჩა) | ცალი | 27 | 5 |
| 56 | ელექტრო კოჭა (ბაბინა) | ცალი | 199 | 20 |
| 57 | დინამოს ღვედი | ცალი | 148 | 70 |
| 58 | დინამოს ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 125 | 70 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 59 | დინამოს ღვედის დამჭიმი | ცალი | 260 | 70 |
| 60 | ზეთის წნევის მაჩვენებელი | ცალი | 60 | 45 |
| 61 | საჭის ელექტრო კონტაქტი (შლეიფი) | ცალი | 204 | 30 |
| 62 | საყვირი | ცალი | 60 | 15 |
| 63 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 50 | 10 |
| 64 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 25 | 5 |
| 65 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 6 | 5 |
| 66 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 67 | აკუმლატორი | ცალი | 130 | 10 |
| 68 | ძრავის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 69 | ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 70 | ჰიდრავლიკის ტუმბოს ზეთი | 1 ლიტრი | 20 | |
| 71 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 72 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 73 | ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 74 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 75 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |
| 76 | გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 77 | ჰიდრავლიკის ტუმბოს ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 78 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 25 |
| 79 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 80 | ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 81 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 82 | განშლა | | – | 40 |
| | ჰიუნდაი H1 2.5 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი) | | | |
| N | სათადარიგო ნაწილი/საცხებ საპოხი მასალა/მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ფასი (ლარი) |
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 225 | 15 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 180 | 15 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომლექტი | 120 | 30 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ტროსი | ცალი | 127 | 40 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 245 | 40 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 225 | 25 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 93 | 25 |
| 8 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 134 | 40 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 180 | 40 |
| 10 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 55 | 40 |
| 11 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 74 | 40 |
| 12 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 46 | 25 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | წინა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 15 | 40 |
| 14 | ნაკანეჩნიკი | ცალი | 68 | 15 |
| 15 | უდარნი ტიაგა | ცალი | 75 | 15 |
| 16 | გიტარა წინა | ცალი | 308 | 35 |
| 17 | გიტარა უკანა | ცალი | 283 | 35 |
| 18 | წინა გიტარის მილისა დიდი | ცალი | 41 | 40 |
| 19 | წინა გიტარის მილისა პატარა | ცალი | 37 | 40 |
| 20 | შარავოი | ცალი | 120 | 30 |
| 21 | უკანა შტანგა | ცალი | 150 | 30 |
| 22 | უკანა შტანგის მილისა | ცალი | 40 | 35 |
| 23 | წინა საყრდენი დისკო | ცალი | 310 | 25 |
| 24 | უკანა საყრდენი დისკო | ცალი | 283 | 50 |
| 25 | წინა მორგვი | ცალი | 340 | 40 |
| 26 | მორგვის ბოლტი | ცალი | 5 | 40 |
| 27 | საბურავის სამაგრი გაიკა | ცალი | 5 | 5 |
| 28 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი | ცალი | 221 | 40 |
| 31 | ძრავის ქვედა სამაგრი | ცალი | 222 | 50 |
| 32 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12 | 20 |
| 33 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა | ცალი | 12 | 10 |
| 34 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 6 | 10 |
| 35 | სტერჟინი წინა | ცალი | 75 | 15 |
| 36 | სტერჟინი უკანა | ცალი | 75 | 15 |
| 37 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40 | უფასო |
| 38 | ზეთის ფილტრი | ცალი | 40 | – |
| 39 | საწვავის ფილტრი | ცალი | 95 | 50 |
| 40 | კონდენციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 65 | 10 |
| 41 | გმათბობლის სანთელი | ცალი | 104 | 25 |
| 42 | დინამოს ღვედი | ცალი | 76 | 60 |
| 43 | საქარე მინის საწმენდები | ცალი | 50 | 5 |
| 44 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 48 | 10 |
| 45 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 25 | 5 |
| 46 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5 | 5 |
| 47 | უკანა სტოპ· ნათურა | ცალი | 15 | 5 |
| 48 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | 1 ლიტრი | 25 | – |
| 49 | ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | – |
| 50 | ხიდის ზეთი | 1 ლიტრი | 20 | – |
| 51 | რულის ჰიდროგამაძლიერებლის ზეთი | 1 ლიტრი | 20 | – |
| 52 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 75 | – |
| 53 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 15 | – |
| 54 | ფრეონი | 100 გრ | 13 | – |
| 55 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 15 | – |
| 56 | ძრავის ზეთისა და ზეთის ფილტრის შეცვლა | | – | 15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 57 | ავტომატურ გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა | | – | 30 |
| 58 | ხიდში ზეთის შეცვლა | | – | 20 |
| 59 | რულის ჰიდროგამაძლიერებელის ზეთის შეცვლა | | – | 20 |
| 60 | ანტიფრიზის შეცვლა | | – | 15 |
| 61 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | | – | 45 |
| 62 | ფრეონის ჩატუმბვა | | – | 30 |
| 63 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 20 |
| 64 | განშლა | | – | 40 |

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ვ. ჭოლოძე

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს პრეზიდენტი

დ. გიორგობიანი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 04.12.2017 წელი

ქვემოთ ხელის მომწერი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი* *ვლადიმერ ჭიღლაძე*